მატჩი კიევში

30 ივნისს კიევში ადგილობრივ “დინამოსთან” თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა მეორე წრის პირველი მატჩი. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის 33–ე წუთზე გაიოზ ჯეჯელავამ კიდევ ერთი ბურთი გაიტანა კიეველთა კარში და შეხვედრა დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ამრიგად პირველ ადგილზე მიდის მოსკოვის “ცდკა”, რომელმაც 26 შესაძლებლიდან მოაგროვა 23 ქულა, მეორე ადგილზეა თბილისის “დინამო”, რომელსაც აქვს 22 ქულა (24 შესაძლებლიდან), მესამეზე – მოსკოვის “დინამო” – 18 ქულა (24 შესაძლებლიდან), ხოლო მეოთხეზე – მოსკოვის “ტორპედო” – 14 ქულა (24 შესაძლებლიდან).

2 ივლისი, 1946 წ.